№ 227. ოქტომბრის 20, შაბათი. 1866—1884 ოქტომბრის 20, შაბათი. № 227.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ჴელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე ... განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

„დროების“ რედაქცია გადავიდა

ახალს სადგურში,

დ. სარაჯოვის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

არწრუნისეული თეატრი

ორშაბათს, ოქტომბრის 22-ს

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

ქოროღლი

ტრაგედია ოთხ მოქმედებად თხზ. ზ. ანტონოვისა.

დასაწყისი 8 საათზედ.

ფასები ჩვეულებრივია.

## ორ-გვარი გრძნობის აღმძვრელი ფაქტი.

თბილისი, ოქტომბრის 10-ს.

გუშინ-წინ ჩვენ მოვიხსენეთ თავ. სუმბათაშვილის მოღვაწეობა და წარმატება სათეატრო ასპარეზზედ რუსეთში...

როდესაც რომელიმე ნიჭიერი ქართველი იჩენს თავს თავისი შესანიშნავი შრომით სხვა ქვეყანაში, უცხო საზოგადოებაში, მოინადირებს პუბლიკის ყურადღებას და მისი მოქმედება შეიქნება ქების საგნად ჟურნალ-გაზეთებში, მაშინ თქვენს გულში იბადება ორ-ნაირი, ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი გრძნობა: გიხარიანთ ერთი მხრით, სწუხართ მეორე მხრით.

გიხარიანთ ჯერედ ისა, რომ თქვენი მოყვასი, თქვენი თანა-მემამულე წარმატებაშია, თავის გულის წადილს მოსწევია, ბედნიერების გზას დასდგომია. მაგრამ უფრო კიდევ მომეტებულს სიამოვნებას გაგრძნობინებთ ის აზრი, რომ ეს ნიჭიერი და ნაქები პირი არის საკვეხური წარმომადგენელი თავის ერის გონიერებისა, მისი გენიისა, რომ იგი მთელი ქვეყნის თვალში უკეთებს სახელს თავის ერს, ამტკიცებს მის შემოქმედებითს ძალასა... ერთმა მაღალ-ნიჭიერმა მწერალმა სთქვა: კაცი იმად ღირს, რადაც მას აფასებს საზოგადო აზრიო. ამ აფორიზმის მიხედვით ყოველი ერიც სწორედ იმდენად ღირს, რავდენ ფასსაც მას სდებს კაცობრიობა. სახელის გატეხისავით ძნელი არაფერია, როგორც ცალკე პირისათვის, ისე მთელი ერისათვის. ტყუილად კი არ ამბობს ქართული ანდაზა: სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიანო. სახელ გატეხილი ერი ემზგავსება გაკოტრებულს ვაჭარსა, რომელსაც ყოველი ნდობა დაუკარგნია მოყვასთა შორის და რომლის სიტყვას, აღთქმას და დაპირებას ნამწეწი ფასი აღარა სძევს. სახელ-გატეხილი ერი მოგაგონებს უკანონო თამასუქსა, რომლის სიყალბე ყველას შეუტყვია. ამისთანა ერს ყველა სიძულვილით ექცევა, ყველა თავში უჩაკუნებს, ნამწეწს ნდობას არ აღირსებს, ყველა მას ბრიყვობს და სარგებლობს მისი დაცემული სახელით თავისი ინტერესისათვის. წინააღმდეგ ამისა სახელ-გაკეთებული ერი ყველასაგან პატივის-ცემულია, ყველას მისი ნდობა აქვს, ყველასა სურს დაუახლოვდეს, გაიცნოს, გაუწიოს სამსახური და დაიმსახუროს მისი ყურადღება. ყოველივე გზა ამ გვარს ერს გახსნილი აქვს, ყოველი წარმატება მისთვის ადვილად შესაძლოა.

ამიტომ რავდენადაც მავნებელნი არიან ერისათვის ის პირნი, რომელნიც თავის უნიჭობით და ზნეობრივი გახრწნილობით სახელს უტეხენ თავის დამბადებელს ერს ერთა შორის კაცობრიობაში, იმდენად დიდს სამსახურს უწევენ თავიანთ სამშობლო ქვეყანას ის პირნი, რომელთაც მდიდარი ნიჭით, დაუმჭკნარი ენერგიით, პრინციპიალური მიმართულებით და ზნეობრივი სიწმინდით მაღლა აჰყავთ მთელი ქვეყნის თვალში სახელი მათი დამბადებელი ერისა. ამის გამო, როდესაც რომელიმე ქართველი, სამშობლოს დაშორებული, სხვა ქვეყნებში იჩენს შესანიშნავს ტალანტს, გონების სიმძლავრეს და ზნეობითს სიმაღლეს, შეცდომა იქნება ითქვას მასზედ, რომ იგი დაკარგულია თავის ქვეყნისათვისაო. პატივი, რომელიც მას დაუმსახურნია, მოუპოვებია უცხო საზოგადოებათა შორის, გადმოდის იმ ერზედაც, რომელსაც იგი უშობნია და გამოუზრდია, შუქი, რომელიც ანათებს მის არსებას, ადგება მისს სამშობლო ქვეყანასაც.

მაგრამ, თუნდაც ეს სანუგეშო მოსაზრებანი თავში ცხადად გიტრიალებდენ, მაინც სწუხარ და ამ წუხილს აქვს სრული საფუძველი......

დიაღ, სწორედ სტირის ნიჭიერს მომქმედთათვის ქართული თეატრი, რომელიც ფეხ-აუდგმელს ბავშვსავით ტორტმანებს, ქართული ლიტერატურა, რომელიც, თუმცა ღარიბი არ არის ნაყოფიერი ოაზისებით, მაგრამ მაინც უდაბნოს, მომკვდარს ყანას ემზგავსება; ქართული მეცნიერება, რომელიც მხოლოდ ჩასახულა და დაბადებას ელის.

ხსენებულს ქართველებს შეეძლოთ ფეხზედ დაეყენებინათ ერთი საქმე,

«დროების» ფელეტონი, ოქტ. 20-ს

## ჴევის ბერი

### გოჩა.

(მოთხრობა *)

### XXI

ონისე თავ-გადაგლეჯილი მირბოდა თავ-ქვე და გონება-დაფანტულმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა.

მტრის ლაშქარს ელდო მოხევეთ პირველი სანგალი და მისი დამცველნი თითქმის მთლად გაეწყვიტა. საცოდავი გრძნობდა, რა ძვირად დაუჯდა წუთის თავ-დავიწყება, რომლის გამოც იმდენი მამაცი ბედის უცდელად, ბიჭობის გამოუჩენლად შეიმუსრა და სინდისის ყვედრებამ მწარედ დაუწყო ტანჯვა. გონება სინანულის მეტს ვეღარაფერზედ ვეღარას ფიქრობდა და დამძარებულს გულს კი უწყალოდ რაღაცა ჰკუწავდა და ანადგურებდა.

ის გარბოდა და პირის-სახე გიჟს დამგზავსებოდა; ქუდი მოხდოდა, თმა აწეწიყო და ტანისამოსი არეოდა. ამღვრეულს თვალებს, თუმცა უნუგეშოდ, მაგრამ როგორღაც უცნაურად აქედ-იქით ატრიალებდა. კაცი ვეღარ იტყოდა, იმ წუთში, რას გამოსთქვამდა მისი სახე, რადგანაც მისი აზრის ტრიალი ელვასავით მკვირცხლი იყო და წუთზედ ათას რიგად იცვლებოდა. ის მირბოდა გამარჯვებულის მტრის რაზმისკენ, რადგანაც გონება პირველი აზრის გაელვებას შეეპყრო და მხოლოდ იმას მოჰყავდა მოძრაობაში საკუთარს წადილს მოშორებული მოხევე. ეს იყო სიკვდილის წადილი და სიკვდილი უეჭველად იმ ხელით, რომელმაც მისი ამხანაგების სიცოცხლე გააქრო, იმ მახვილით, რომელიც მისი მეზობლების უბრალო სისხლით შეღებულიყო.

ის იყო ონისე იმ ჭალაში ჩავიდა, სადაც გამარჯვებული ოსები მხიარულის «ვარაიდათი» ფეხ-ქვეშ ჰქელავდენ მამულის დამცველთა პატიოსანს გვამებს და აპირებდენ თავიანთ ბანაკისკენ გაბრუნებას, როდესაც წინ შეეფეთა რამდენიმე მოხევე, ალებულის სანგალის გუნდიდგან გადარჩენილნი.

— ვინა ხარ? —ერთბაშად ონისეს წინ გადაეღობნენ მოხევენი, რომელთაც თოფის ტუჩები დაადეს გულზედ.

— მე ვარ! —გაბრაზებით, მაგრამ თითქმის ტირილით შესძახა ონისემ, — მესროლეთ, მომკალით!... მადლია თქვენთვის!

— აბაიმე, ონისე! — წამოიძახა ერთმა და ყველამ თოფები ჩამოუშვეს.

— მადლი უფალს, ცოცხალი გადარჩენილხარ, — დაუმატა მეორემ.

ონისემ დაღონებით შეხედა, მაგრამ მაშინვე თვალები ელვასავით გაუბრწყინდა: იმას ეგონა, რომ მოლაპარაკემ იცის მისი საქციელი და დასცინის. მთლად აინთო და იწოდა უხილავის ცეცხლით, რომელიც მით უფრო ძნელი იყო, რომ არ დარჩენოდა სახსარი, სადაც ძალზედ არ ალგზნებიყო და თავისი ძალა არ ეგრძნობინებინა.

— მომკალით, ღირსი ვარ, მომკალით!... ღვთის მადლსა; ნუღარ დამინდობთ! — ემუდარებოდა ონისე და მდუღარება გადმოსდიოდა, — მომკალით, გეუბნებით, მადლია თქვენთვის!... თუ დაბრმავდით, რომ ვაჟკაცი დიაცსავითა ვტირი!...

მოხევეები გაშტერებულნი შეჰყურებდენ ონისეს და ვერ მიმხვდარიყვნენ მისს საქციელს.

— მაშ აღარ გებრალებით, აღარა?!... გინდათ ასე ვეწვალო?!... მოსტყუვდით, ღვთის მადლმა! ეგრე არ იქნების... ონისე ქვეყნად აღარ ივლის, მტერს არ გააცინებს!... გიხარიანთ, გიხარიანთ განა?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — მწარედ გაიხარხარა ონისემ და გაჰქანდა მტრის ბინისკენ.

პირველის გაშტერების შემდეგ, იქ მყოფნი მოხევენი გონს მოვიდენ, გამოეკიდენ ონისესა და დაიჭირეს.

— სად მიხვალ, რას სჩადი, ბეჩავ!.. „გონთ-გამოსულხარ“, თუ რაია?! ეუბნებოდენ ონისეს, რომელიც ძალზედ იბრძოდა და ცდილობდა გაშვებინებოდა.

— რაი გინდათ, რად მიჭერთ... სადაც ამხანაგები დამილიეს, მეც იქ უნდა ჩავეკაფეინო... მაშ, თუ ეგრეა, თავად მოვიკლავ თავსა, — წამოიძახა ონისემ და ჩახმახ-წამოყენებულის დამბაჩის ლულა პირში მიიცა, მაგრამ ვიღამაც ხელიდგან გამოსტაცა და სიკვდილს ასე გადაარჩინა.

იქ მყოფთ ეგონათ, რომ ონისე მეგობრების გაწყვეტას აერია და, რადგანაც გონს ვეღარ მოეყვანათ, ამისთვის აჰყარეს იარაღი, შეჰკრეს და თან წაიყვანეს.

— ულმერთონო, რას მემართლებით? გულ-საკლავად წარმოსთქვა ონისემ და ჯავრისგან გამოწვეული მდუღარე გადმოედინა. რაი გინდოდათ, მოვეკალით... ჩემი სირცხვილი თქვენ რას შეგმატებსთ?

კიდევ ბევრსა ლაპარაკობდა ონი-

*) იხილე «დროება» № 221.

მეორის აღორძინებას მხნედ დახმარებოდენ, მესამის დაბადება და აღზრდა დაეჩქარებინათ; მაგრამ მათ შუა და ამ საქმეთა შორის სძევს დიდი მანძილი.

მართალია, როგორც ვთქვით, მათი მოქმედება ახლაც სასარგებლოა ჩვენთვის, მაგრამ ეს სარგებლობა გარეგანია და არა შინაგანი, ერის სახელს ეხმარება, ხოლო სახრავს კი ვერ უმატებს, ვერ უმატებს შინაგანს ძალას და ღონეს, ვერ უმდიდრებს აზრს, ვერ უმაღლებს გრძნობას. ზამთრის მზესავით ისინი მხოლოდ შორიდგან უნათებენ ჩვენს ქვეყანას, სითბოს კი ვერ უგზავნიან. სამშობლო ნიადაგზედ რომ ემოქმედნათ, მაშინ მათგან ჩვენი ერი სინათლესაც ბევრს შეიძენდა და სითბოსაც ბლომად იგრძნობდა.

მაგრამ აქ მარტო ერის სიკეთე არ არის წაგებაში, წაგებაში არიან თვით ეს ნიჭიერნი ქართველნიც, უცხო ასპარეზზედ მომქმედნი. როგორ? ამაზედ ცალკე ვისაუბრებთ...

## შინაური ქრონიკა

— ჩვენ შევიტყეთ, რომ გორის მაზრაში სოფ. ქვიშხეთის საზოგადოებას გარდაუწყვეტია სახალხო სკოლის გამართვა, რომლის შესანახავადაც გარდაწყვეტილების ძალით უნდა ყოველწლივ იხადონ 300 მან. სასკოლო სახლისთვის ადგილი აქაურს მემამულეს, ჩვენის საზოგადოების მიერ კარგად ცნობილს, პატივცემულს დიმიტრი ივანეს-ძეს ყიფიანს შეუწირავს. ყოველივე ეს გარემოება სოფელს უცნობებია მთავრობისათვის, მაგრამ ამ უკანასკნელს საკმარისად არ დაუნახავს სოფლის მიერ აღთქმული ფული და შეუთვლია, რომ 300 მან. მაგიერ, მან გაიწეროს ყოველ-წლივ ორმოც-ორმოცი თუმანი, რაზედაც სოფელი (სულ 100 კომლამდე ვერ არის) დიდს უარს თურმე ამბობს.

ადგილობრივნი მემამულენი და აზნაურნი ფიქრობენ თურმე თვითონაც შეეწიონ სკოლას, მაგრამ ეს მათი შემწეობა წინ-და-წინვე ძნელი განსაზღვრელია და ამას გარდა არ შეიძლება, რომ ეს შემწეობა სავალდებულო შეიქმნას მათთვის იმავე გარდაწყვეტილების ძალით, რომელიც დაუდგენიათ გლეხებს; ხოლო ცალკე აზნაურთ გარდაწყვეტილების დადგენა ამ საგნის თაობაზე სოფლის საზოგადოებასთან ერთად მოუხერხებელია.

ახლა, როგორც ამბობენ, სოფელს სურს მიმართოს „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას" და სთხოვოს მას, რომ იქნება მან მაინც იკისროს სოფ. ქვიშხეთში სკოლის გახსნა იმ ფულით, რა ფულიც მას გადაუწყვეტია სასკოლო ხარჯად.

— გორის მაზრიდამვე გვწერენ, რომ სოფ. რუისში ერთი ფრიად კარგი ჩვეულება ხალხისა ზოგიერთა უკუღმართ პირთა წყალობით სოფლის დამღუპველ წესად გადაქცეულა. მოგეხსენებათ, რომ სოფელი აირჩევს ხოლმე რამდენსამე კეთილ-საიმედო და პატიოსან კაცებს, რომელთაც მოვალეობად ადევთ ყური უგდონ ვენახებს, როცა ჯერ ისინი დაკრეფილნი არ არიან, რათა შიგ არავინ არ შევიდეს და ზარალი არ მისცეს პატრონს. ზოგიერთა სოფლებში ვენახებდამ ყურძნისა და ხილის ქურდობა საშინლად გრცელდება ხოლმე. რუისშიც ამოურჩევიათ, ანუ უკეთ ვსთქვათ, მუდამ მალადობით მცხოვრებთ სოფლის მგლებს, ამოურჩევინებიათ თავიანთ თავი მოყადაღეებად და ეს უკანასკნელნი ისე დღე არ გავა, თურმე რომ არავის ან ხარი, ან ძროხა არ წამოუქციონ და არ დაიკლან სულ უბრალო მიზეზით. ამ ყაჩაღებს ამოუჩემებიათ, რომ შემოდგომაზე საქონლის ხორცი გემრიელიაო, მაშინაც ბლომად არისო და ბავშვმა რომ მოკრეფილ ვენახში გაიაროს ნაქარევი კვალის ასაკრებად, მის პატრონს ან საქონელს ან დედა-ღორს უკლავენ და ამ გვარად შეექცევიან დღითი-დღემდე, კვირით-კვირობამდე.

თან გულ-კეთილნი და ქველ-მოქმედნიც არიან თურმე ეს სვავები: ამას წინად ერთს გლეხს დაუკლეს ხარი, ხორცი თვითონ შეჭამეს და ტყავის ნასყიდვარი ადგილობრივს სკოლას შესწირეს.

სასაცილო და თან სამწუხარო ამბავიც ამასა ჰქვიან...

— „წერა კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას", როგორც შევიტყეთ, მხოლოდ ამ დღეებში მიუღია ოფიციალური ნება-რთვა მოსამზადებელის ორგანყოფილებიანი სკოლის გამართვისა დ. ძველ-სენაკში, ეს სკოლა, როგორც მკითხველებსაც უნდა ახსოვდეთ, ასე დაიბადა: ორი პირველი პარალელური განყოფილებანი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა, ქუთაისის ბანკის წრევანდელის საერთო კრების სურვილით, გადატანილ იქმნა დ. ძველ სენაკში განსაკუთრებით სამეგრელოსა და გურიის თავად-აზნაურთა შვილებისათვის. ამ სკოლის გამგებლად დანიშნულ იქმნა ბ. ს. ყიფიანი და ერთი კიდევ სხვა მასწავლებელი.

— გუშინ-წინ, საღამოს, ქუკიაში ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდარა: ერთს დედა-კაცს, რომელსაც ქმარი შინ არა ჰყოლია, შესცვივნიან ავაზაკები და საცოდავისთვის თავი მოუჭრიათ. ოთახი არეულ-დარეული იყოვო, ამბობენ მნახველნი, ბალიშები დაფხრეწილნი და ბუმბული მოდებული იატაკზე. პოლიცია ყოველ გვარ ღონისძიებასა ხმარობს, რომ მიაგნოს როგორმე ამ ულმერთო კაცის მკვლელების კვალსაო.

## წერილი რედაქტორთან

მოწყალეო ხელმწიფევ,

ბ. რედაქტორო!

თქვენის გაზეთის 221 №-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია ადვოკატობის თაობაზე გორის სამოსამართლო მაზრაში. ეს კორესპონდენცია არ ეთანხმება სინამდვილეს და ამიტომ გთხოვთ ადგილი მისცეთ შემდეგს ჩემს განმარტებას: გორის სამოსამართლო მაზრაში იმ პირთ გარდა, რომელთაც აქვთ კანონით უფლება ვექილობა გასწიონ სხვა-და-სხვა პირთა მონდობილობით, არავინ არ ადვოკატობს, ხოლო ესენი სულ ორნი არიან. რაიცა შეეხება იმ პირს, რომელსაც „ლო-

---

სე, რომელიც თან-და-თან სუსტდებოდა და წყნარდებოდა, მაგრამ იმას ყურს აღარავინ უგდებდა, რადგან ყველანი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და იმ ადგილისკენ მიესწრაფებოდენ, სადაც ბოჰა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო.

### XXII

ისინი მიდიოდნენ ჯგუფად, გაჩუმებულნი, დახოცილნი. ყველას პირისახე ზაფრანად გარდაჰქცეოდა, ტუჩები მოჰკუმოდა და თვალები ცეცხლებსავით ანთებოდათ.

მეტის-მეტად ძნელი იყო მათი მდგომარეობა, რადგანაც მტერთან შებრძოლებაც-კი ვერ მოესწროთ და ისე უნდა დამორჩილებულიყვნენ, ან დაცემით გამოქცეულიყვნენ, ან არა და ცხვრებსავით კისერი მიეშვირათ, რომ სისხლით გაუმაძღარის ნუგზარის ჯარს შეუბრალებლად ხანჯალი, ან ხმალი გამოესვა.

ბრძოლას გულით მოწადინებულებს თითო სროლაც-კი ვერ მოეხერხებინათ, ისე დაეცნენ თავზედ და ვინ იცის, რამდენი სალექსე ქება შესასხმელი ბიჭი, მეზობელთ იმედი, ამხანაგებისთვის თავ-მოსაწონი, უცდელად გაფუჭებულიყო.

ვინც გადარჩნენ, ან იმათ რაღა მოელოდათ? სათემოდ მოყვანება, რადგანაც მთაში გაუფრთხილებლობით საქმის წახდენა მასხარად ასაგდებია, დამარცხება კი — უბედურება!.. პირველ შემთხვევაში ყველასგან ზიზღი, დამცირება მოელის, მეორეში-კი სიბრალული და თანაგრძნობა.

მიმავალნი მოხევენი იქამდის დაეხოცა თავიანთ უბედურებას, რომ თავიანთ თავს იმას ანგარიშსაც ველარ აძლევდენ, თუ როგორ მოეპარა მათ ნუგზარის ჯარი ისე, რომ მოძრაობა ვერც კი გაეგოთ?

იმათ მხოლოდ ერთი დასამშვიდებელი ისღა ჰქონდათ, რომ სამი კაცი შეკრული მიჰყავდათ და მათის აზრით ესენი იყვნენ ოსების და ლეკების გზის მჩვენებლები. ამათ შემოეპარებინათ იმათი ჯარი და მოხევეთათვის გარს შემოერტყათ.

ამ დაჭერილთ შორის იყო ორი ოსი, რომელნიც თავიანთ ხალხს აღრიდგანვე გამოჰქცეოდნენ და ხევს შემოხიზნებოდნენ; ამათგან გაცემა და ჯაშუშობა შესაძლებელი იყო, მაგრამ მესამე დაჭერილი უხეთქამდა მათ გულსა. ის იყო მოხევე და მისი საქციელი მთელს ხევს ჩირქად ეცხებოდა.

დაღონებული, დასუსტებული და სულიერად დაცემული ონისე მისდევდა ამ ხალხს და თვალი ვერავისთვის გაესწორებინა.

— ონისე, შენც დაგიჭირეს? ერთბაშად გაიგონა იმან, შეჰკრთა, მიიხედა და გაშტერდა.

იმის თვალ-წინ იდგა გაფითრებული და აღელვებული ბუკუა, რომელიც მთლადა კანკალებდა.

— ბუკუა! ბოლოს ძლივს მოახერხა ონისემ და ანიშნა შეკრულს ხელებზედ. რაი მოგსვლია, რაისთვი შეუკვრიხართ?

— ღალატს მაბრალებენ, — ყრუდ წარმოსთქვა იმან და მეტის სიბრაზით გადააფურთხა.

ონისე ამ კაცს კარგად იცნობდა, გამოცდილი ჰყვანდა და დარწმუნებული იყო, რომ მისგან ამხანაგების ღალატი შეუძლებელი იყო. ამის გარედ, ამ უბედურების შემთხვევის წინედ, ბუკუა ძიძისთან ერთადა ნახა, თავის ყურებით გაიგონა მათი ლაპარაკი და დაინახა, რომ სრულიად სხვა აზრით გასწია მოხევეთა ბინისკენ. ბუკუას ონისეს სიკვდილი უნდოდა, ონისე იყო მისი მტერი, მისდამი ალესებოდა გული მძულვარებით.

„მაგრამ იქნება"... ერთბაშად გაურბინა ონისეს თავში: «ამ კაცს ჩემი მტრობა ედო გულში, მაგ ჯარის მშვიდობიანობა მე მქონდა მონდობილი და შურის ძიების გრძნობამ მოღალატედ გახადა?» ონისეს წარბები შეეჭმუხნა და უსიამოვნო გრძნობა კბილების ღრჭიალზე დაეტყო.

ბუკუა შესცქეროდა იმას, თითქოს რაღაცა პასუხს ელოდა.

— რაისთვი არას მეუბნები? დაიწყო ისევ ბუკუამ.

— რაი-ღა გითხრა?

— მაშ არა გაქვს-რა სათქმელი? მწარედ წარმოსთქვა ბუკუამ და დაუმატა: — იყოს, მეც გავჩუმდები... უფალს მადლობა უთხარ, რომ თავს ველარსაიდ ვიმართლებ, თორემ, ღთის მადლმა, მზეს დიდხანს არ გაცქერინებდი... ახლა დღე შენია. შენი ყვავილი გაიშალა, შენი მზე გაბრწყინდა... ალბად უფალს ევრე უნდა და დღე გაბრწყინდეს... სიკვდილს არ ვნანობ, მაგრამ ვაი ამითი, რომ ყველასთვის მოძმეთ მოღალატე დავრჩები.

ამ სიტყვების შემდეგ ბუკუამ ჩაჰკიდა თავი, თითქოს მძიმე ტვირთი დააწვა კისერზედ, მწარედ ამოიხვნეშა: «ოჰ—ჰ!» და განშორდა ონისეს; ონისეს გულს-კი ერთი წვეთი ნაღველისა-ღა აკლდა, რომ გავსებულიყო და ბუკუამ დამატებით ჩაუწვეთა.

### XXIII

ჯერ კიდევ დღე-ღამე არ გაყრილიყო, როდესაც სიონის სიმაგრეში მთელი ხევის ჯარი მოძრაობაში მოვიდა, მათ შეეტყოთ, რომ ნუგზარის შეერთებულს ჯარს მათი სანგალი აეღო, და შიგ მყოფ მოხევეთ გუნდისაგან მხოლოდ მცირე რიცხვი-ღა გადარჩენილიყო. ყველა ალგზნებუ-

ბიოს ბიჯს“ უწოდებენ, იგი სასამართლოში გამოცხადდება ხოლმე მხოლოდ თავის საკუთარის სამეებისათვის. ამ პირს სხვა მოდავეთა წინაშე არავითარი უპირატესობა არ ეძლევა და მისი ნაცნობობა კანცელიარიის ჩინოვნიკებთან, უეჭველია ეს ნაცნობობა მართლა არსებობს, ვერა საქმეში ვერაფერს ვერ უშველის, რადგანაც საქმეებს გასარჩევად თითონ მე ვნიშნავ მორიგის წესით და სხდომის გადადებაც კრძალ ჩემზეა დამოკიდებული.

უმორჩილესად ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც, რომელთაც გადაბეჭდეს კორესპონდენცია, დაბეჭდონ ეს წერილიც.

მომრიგებელი მოსამართლე
ა. ბუტენკო.

ქ. გორი.
ოქტომბრის 17-ს.

დროების 221 №-ში არაფერი არა იყო-რა ნათქვამი თვითონ ბ. მომრიგებელი მოსამართლის წინააღმდეგ; ნათქვამი იყო მხოლოდ, რომ ცრუ ადვოკატებ შორის „ლობიოს ბიჭი“ გამოჩენილია სხვა-და-სხვა თამასუქების გასაღებაში, რომელთა საშუალებით ხშირად უმეცარს და მჩჩავს ხალხს ტყავს აძრობსო. ბ. მოსამართლე გვიპასუხებს, რომ „ლობიოს-ბიჭს“ ვექილობის უფლება არა აქვს და მხოლოდ თავის საკუთარს საქმეებს იცავსო. ჩვენ ამაზე დავეთანხმებით ბ. მოსამართლეს, მაგრამ ისიც უნდა დაგვეთანხმოს, რომ ამისთანა გამოჭნილ ადვოკატებს არ გაუჭირდებათ სხვის საქმის თავიანთ საქმედ გარდაქცევა და ისე წარდგომა სასამართლოს წინაშე. როგორც სჩანს ზემოდ-დაბეჭდილ პასუხიდამ, ხსენებულ «ადვოკატს» «თავისი საკუთარი საქმეები» მეტად ბევრი ჰქონია, ასე რომ თვით მოსამართლეს შეუნიშნავი არ დარჩენია იგი. მაგრამ თუნდა ამ საქმეების სიმრავლის გამო ნება გვაქვს ეჭვი შევიტანოთ, რომ „ლობიოს-ბიჭს“ მართლა და დასაკუთრებული საქმეები ჰქონდა და არა საკუთარი.

რედ.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ოქტომბრის 19-ს

**პეტერბურგი.** გადაწყვეტილია, რომ ნოვოროსიისკის ნავთ სადგური გათავებულ იქმნას ნოვოროსიისკის რკინის-გზის მშენებლობასთან ერთად.

„ახალ დროებას“ გაუგონია, რომ რკინის-გზის უმთავრეს საზოგადოების დაცვა შესახებ ბოროტ-მოქმედებათა სპასოვიჩს მიუღია.

**მოსკოვი.** ოქტომბრის 17-ს, საღამოზედ ორი საქონლის მატარებელი შჩუროვოს სტანციაზე, მოსკოვსა და რიაზანს შუა ერთმანეთს მიეჯახა; სამი ვაგონი დაიმსხვრა. ერთს მათგანში იყო 30 პასაჟირი, რომელნიც კონდუქტორებს უბილეთოდ მიჰყავდათ ჩუმად. მათ შორის ერთი დედაკაცი მოკვდა, სამი კაცი სასიკვდილოდ დაიჭრა, სხვებს დიდი ზიანი არ მისცემიათ.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი ოთხ პროცენტამდე.

**ბერლინი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე იმპერატორ ვილჰელმთან და პრინცებთან ერთად სანადიროდ წავიდა.

**ხანოი.** ჩინელები რამდენჯერმე იერიშით მივიდნენ ფრანცუზებისაგან დაჭერილს ტუ-ენ-კვანზე, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ და წითელს მდინარის სათავისკენ დაბრუნდნენ.

**რომი.** ვატიკანში მოვიდა ამბავი, რომ ქრისტიანების ეკლესიები კანტონში დაუქცევიათ. ქრისტიანებისათვის შეურაცხყოფა მიუყენებიათ, მათი სადგურები დაუწვავთ, ორი ეპისკოპოსი, 30 მისიონერი და 300 ერის კაცი ქრისტიანები გონკონგში გაქცეულან, რომ კანტონის ვიცე-კოროლის დევნას ასცდენოდნენ.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც ამბ. დისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

უფასოდ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს [illegible] ექიმები; ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 საათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლებლად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლებლად; ბენკლევსკი—10—11 საათამდე.—საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლებლად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა: გარალევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექნებათ.

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ევრმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად ამ ოქტომბრის 5-დგან შემოღებული იქნე-

---

ლიყო გადახდის სურვილით და თვალებ ანთებულნი, პირ-გამეხებულნი ხმა მაღლად გადახდევინებას ითხოვდნენ.

— სისხლი, სისხლი, მოძმეთ სისხლი ავიღოთ! იძახდა მთლად ხალხი და ამ სიტყვის მეტი მათგან სხვა არა გაიგონებოდა-რა. მათ შორის მხოლოდ ერთად ერთი კაცი იყო, რომელსაც არაფერი არ ზვირწყდებოდა, როგორს მდგომარეობაშიაც უნდა ჩავარდნილიყო და ყოველთვის დროსა პოულობდა საქმის ყოველიფე მხრისათვის ყურადღება მიექცია.

ეს გახლდათ ბოჩა და ამისთვისაც იმან დაიბარა სანგალზედ გადარჩენილი მოხევენი.

ბოჩას დიდი იმედი ჰქონდა თავის შვილისა და ის-კი იქ იყო; მაშ როგორ მოხდა, რომ მტერი შეუმჩნევლად დაეცა?

— მითხარით, ჩქარა მითხარით: საქმე როგორ იყო? დაიწყო ბოჩამ, რა წამს დაბარებულები დაინახა.

— რაილა როგორ იყო,—დაიწყო ერთმა მოსულთაგანმა:—ოსი ბეჩირაი და თაფსირუყო წასულიყვნენ მტრებთან, მოსავლელი გზა ეჩვენებინათ და მტერი სინამ თავს არ წამოგვადგა, ვერა გავიგეთ-რა...

მოსაუბრე გაჩერდა და ბოჩა კი მთლად სმენად გადაიქცა. მისი გული თრთოდა და თითქოს რაღაცა უსიამოვნობას მოელოდა.

— „ოსო“? ოსო თუ ალარვინ ყოფილა? იკითხა ბოჩამ ცოტა სიჩუმის შემდეგ და წარბები შეეკრა.

— ბარემდის, რომ იმის მეტი არვინ ყოფილიყო?

— ისო ვილაა? საჩქაროდ იკითხა ბოჩამ და თვალები აენთო.

ის ჩააცქერდა მოსაუბრეს, რომელსაც მოღალატის დასახელება თითქოს უჭირდებოდა.

— ვინაა-მეთქი? მკაცრად გაიმეორა ბოჩამ.

— ბუგუაი.

—როგორა, როგორ სთქვი?—ზარდაცემულსავით წარმოსთქვა მოხუცმა და ყელმა ხრიალი დაუწყო. ბოჩას ეგონა, რომ სმენამ უღალატა.

— ბუგუაი,—გაიმეორა მოხევემ.

მეტის მეტად ძნელი გასაგონი იყო ბოჩასთვის თვისი მეზობლის დასახელება, იმ მეზობლისა, რომელიც იმის სამწყსოს ეკუთვნოდა და მაშასადამე ბუგუას ზნეობრივს მიმართულებაში მასაც წილი უნდა სდებოდა.

— უფალო, რაი შეგცოდეთ, რომ მოძმეთ ღალატიც გვაჩვენე!—წარმოსთქვა მოხუცმა და თვალები ზეცას მიაპყრო.

მის გულს მწარედა სდაგავდა ამ გვარი შეურაცხყოფა მთელის ერობისა და კარგად ესმოდა, რომ შესაძლებელი იყო ამ მაგალითს ხალხზედ მეტად ცუდი გავლენა ჰქონოდა.

მოხუცი ისევ ჩაფიქრდა, გაჩუმდა და დიდხანს ხმა-ამოუღებელი იდგა. იმის პირისახე ამ ხანში მთლად მოძრაობდა და აშკარავებდა, რომ მისი გონება შეუწყვეტლად მუშაობდა და მოაზრებაში იყო.

ბოლოს მოხუცმა გადაისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი, რამდენჯერმე შეხედა გამომცდელის თვალით მოსაუბრეს და პირველად დაეტყო გაუბედაობა. მისი თვალები თითქოს ხვეწნასა და საყვედურს ერთად გამოსთქვამდენ. მაგრამ რა გახჩენოდა ხევის ბერს, ხევის მმართველს უბრალო მეომართან ან სახვეწარი, ან სასაყვედურო? ბოჩას ერთად ერთი შვილი ჰყავდა, ონისე დალუპულის სანგალის დამცველთა შორის იყო და ის არსად სჩანდა...მაშ რა იქნა, რატომ არ ეუბნებოდა რასმე მოსაუბრე უბედურს მამას?.. თუ მოკვდა, რატომ მის გმირულის სიკვდილის ამბით არ ანუგეშებდა მშობლის სევდა-მოცულს გულს?

ეს ყველა მოხუცს სწრაფად წარმოუდგა გონებაში და მედგრად მიწყვეტ-მოწყვეტა დაუწყო მის გულსა. მოხუცმა ველარ მოითმინა და კიდევ წყნარად შეხედა, მოიკრიფა უკანასკნელი ძალა და წარმოსთქვა:

— ონისე რაილა იქნა, რას მიფთხილდები?

— ონისე, ბეჩავი!.. კინალამ გაგიქდა...

— ჩვენ რომ არა ვყოფილიყავით, მტერს თავს შეაკლავდა, ღვთის მადლმა.

ბოჩა ამ მხრით, რაოდენამდე დამშვიდდა: იმისი შვილი ცოცხალი იყო და ეჭვაცადაც ეჩვენებინა თავი. სხვა რაღა უნდოდა?

— მხლა სადღაა?

— მხლა ბატარია დამშვიდდა და ამხანაგებთანაა?—უპასუხა ისევ იმ მოსაუბრემ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა.—ასეთია ბეჩავი, რომ დანა პირს ვერ გაუხსნის.

მოხუცი დაკმაყოფილდა ამ კითხვებით და დამშვიდდა, რაოდენადაც მის მდგომარეობაში დამშვიდება შეიძლებოდა.

— უთხარ, დამნაშავენი დაამწყვდიონ და კარგად თვალ-ყური ადევნონ... ჩვენც კი ღმერთი ვახსენოთ და მტერს მოძმეთ სისხლი მოვთხოვოთ,—წარმოსთქვა ბოჩამ და გამოვიდა გარედ, სადაც ჯარი უკვე მოგროვებულიყო და მოუთმენლად ელოდა მტერზედ გალაშქრების წამს.

ა. მოხხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

ბა მსხვერპლთა შეღავათისათვის ღამ-ღამობით მარიგად ყოფნა ბბ. ექიმ-თა და ბებიათ:

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ოთხშაბათობით, ხუთ-შაბათობით და კვირაობით.

**ქორონა**, სამშაბათობით და შა-ბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბა-თობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილხაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაბინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოკვისა**, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**მაზანდა**

ხორცისა, რომელიც იყიდება თბი-ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამ-დე 1884 წ.

| | |
|---|---|
| გამოსტეხარი მუჭრი რუსეთის ფქვილისა— —1 | გირ. 5 კ. |
| ჯანჯური ფქვილისა: პირველი ხარისხისა — —1 | გ. $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — —1 | გ. 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | |
| პირველი ხარისხის —1 | გ. $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა — —1 | გ. 3 კ. |
| მესამისა — —1 | გ. $2\frac{1}{2}$ |
| ჭვავისამამა პური: | |
| პირველი ხარ. ს. ლავაში 1 | გ. $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარ. ს. ლავაში 1 | გ. $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — —1 | გ. 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | |
| პირველის ხარისხისა —1 | გ. 7 კ. |
| მეორისა — — —1 | გ. 6 კ. |
| სუკი — — —1 | გ. 14 კ. |
| ცხვრის ხორცი —1 | გ. 7 კ. |
| ღორის ხორცი: | |
| პირველის ხარისხისა —1 | გ. — კ. |
| მეორისა — — —1 | გ. — კ. |

**რკინის გზა**

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 10 საათზედ და 45 წამ. დილით. (სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. დამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან. (სამშაბათობით და პარასკევობით საჩქა-რო 7 ს. 53 წ. დილ.)

# განცხადებანი

**წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობისაგან.**

«ქართველთა-შორის წერა-კით-ხვის გამავრცელებელი საზოგა-დოების მმართველობა» უმორჩი-ლესად სთხოვს პატივცემულ წევრთ, როგორც დამფუძნებელთ, ისე ნამ-დვილთ, წარმოგზავნონ თავიანთი ხვედრი საწევრო ფული ამ 1884 წლისა, პირველთ ოც-ოცი მანათი, ხოლო მეორეთ—ექვს-ექვსი, შემდე-გის ადრესით:

**ТИФЛИСЪ.** Казначею Общества Распространенія Грамотности среди грузинскаго населенія Георгію Давидовичу Картвелову (Михайловская улица, собст. домъ). (10—6)

**უმორჩილესად** მოვახსენებ თბი-ლისის პატივცემულს საზოგადოებას, რომ დღეს **თბილისშია გამოჩენილი მხოლოობითი მუზეი ვინტერისა**, რომელსაც ვაჩვენებდით მეროპის ყველა სატახტო ქალაქებში, როგორც მაგალითად: ს. პეტერბურგში, მოს-კოვში, პარიჟში, ვენასა და ბერლინ-ში.

დაწვრილებითი ცნობანი მუზეის გახსნისა აფიშებით იქნება გამოცხა-დებული.

მუზეი იმყოფება გოლოვინის პროს-პექტზე, მირზოევის ადგილზე

(2—1) გ. ვინტერ.

გამოვიდა და იყიდება

ყველა წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

**არითმეტიკა**

სახელმძღვანელოდ სოფლის სას-წავლებელთათვის, შედგენილი მიხეილ ზაალის-ძის ყიფიანისა-გან.

ფასი 80 კ. გაგზავნით 1 მან. (10—3)

**გამოვიდა და იყიდება**

# ელისო

მოთხრობა ჩეჩნელთ ცხოვრებიდგან თხზულება

ა. მ. მოჩხუბარიძისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება თბილისში: გრიქუროვის წიგნების მაღაზიაში და არწრუნისეულს სატყეტრო კასაში.

იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გამო-ვა ამავე ავტორის თხზულებანი:

**ელგუჯა**, ისტორიული მოთხრობა.

**არსენა**, დრამა 3-ს მოქმედებად. **დილა** ქორწილის შემდეგ, კომ. 1-ს მოქმე-დებად და „თხზულებანის“ პირველის ტომის, პირველი ნაწილი. (20—4)

**ინგლისის მაღაზიაში თმის-ამომყვანი მაკ-მასტერი**



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—75)

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

გამოვიდა და იყიდება

**ქართული წერის დედანი**

მ. გაბიჩვაძისა.

გამოცემული ე. კაციტაძისაგან.

ნაწილი პირველი.

ფასი ყველგან ორი შაური. ვინც ათ ეგზემპლიარზე მეტს იყიდის, ან დაიბარებს, ეგზემპ-ლიარი რვა კაპეიკად დაეთმობა და ფოსტითაც გაეგზავნება.

საწყობი: **თბილისში**, ჩარკვიანის წიგნის მაღაზია, ქუთაისში, ი. მურადოვთან. დედანთან იყიდება ლითოგრაფიაში დაბეჭდილი ქართული წერის რვეულებიც თითო შაურად (3—3)

**საგლობუსო** 

**კალმები**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალ-მები ყოველის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნი-კები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სან-თელი, სალესი, ცარაშკები პურპლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკე-ები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ჯატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ჩემსები, მაგნიტები, სვასტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შნოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, რაგები, საქქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

**პატაშკი—20 კ.** (100—18)

გამოვიდა ცალკე წიგნად

**სამგვარი სიყვარული**

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების“ რედაქციის გამოცემა)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ორ ეგზემპლიარზედ მეტს იყი-დის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი იყიდება **თბილისში** გრიქუ-როვის წიგნის მაღაზიაში, შავერდო-ვის საააგენტოში და ჩარკვიანის მაღა-ზიაში. **ქუთაისში** ჭილაძეების წიგ-ნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნა-თაძესთან, თელავში, საზოგადოე-ბის დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძ-ლება აგრეთვე «დროების» რედაქცია-შიაც. (10—9)

Доз. ценз. Тифлисъ, 19 Октября 1884 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.